22(177) 16 ივნისი 2000 წ · პარასკევის გამოშვება · 30 თეთრი

# ფანტაზია 2000

**ალო, „ფანტაზიის“ ტურნირში პირველი ჯეკ-პოტი დაფიქსირდა, მეორე ტურში თამაშდება 20 ლარი**





**თარაზულად**: 9. შუა სს იტალიელი პოეტი, ვისაც სიყვარულის მაგიურმა ძალამ გარდაცვლილი სატრფოსადმი 27 წელი ლექსები აწერინა. 10. დედამიწის რაღაც გრძნეულებით აღსავსე ბინადართა საერთო სახელი. 11. ვინმე თანამედროვე რუსი, რომელსაც საკუთარი თავის ჯადოსანი ჰგონია. 12. ჩვეულებრივი ამბებისაგან შორს მდგომი მოვლენა. 13. ძველეგვიპტელთა მითოლოგიის ერთ-ერთი ღვთაებრივი არსება. 15. თანამედროვეეობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ილუზიონისტი. 16. იდუმალებით მოცული ტიბეტის ბინადარი პირუტყვი. 17. საოცარი სილამაზის კურორტი ყირიმში. 18. როგორი არ იქნებოდა ეს წუთისოფელი, მის ბინადართ მართლა რაიმე გრძნეულების ძალა რომ შესწევდეთ? 20. ადამიანური უგნურების უკიდურესი გამოვლინება ურთიერთჩაგვრის სფეროში. 22. ადრე არსებული შეხედულების თანახმად, ე.წ. „ბოროტების იმპერიის“ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. 25. ცეცხლსასროლი იარაღის სახესხვაობა. 26. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში.

**შვეულად**: 1. ბერძნულად „სისხლდენა“ ასე იწერება - haimorrhoia... რა დაავადებაა ეს? 2. ცნება, რაც ყოველგვარ მისტიურობას წარსულის გადმონაშთად აქცევს. 3. (კიდევ ერთი) ცნება, რომელიც თავადაა მისტიური და მას ვერანაირი № 2 (ანუ წინა კითხვის ცნება) ვერ მოერევა. 4. პოეტური იდუმალებით აღსავსე თბილქვეყნიერი თეთრყვავილოვანი მცენარე. 5. XIX ს დიდი გერმანელი კომპოზიტორი. 6. საოცარი „ინვენტარიით“ აღჭურვილი ხმელეთელი ბუმბერაზი. 7. ძველბერძნულ დელფოში „მოღვაწე“ ყოველი ქურუმის ზოგადი სახელი. 8. სუბიექტი, რომელსაც „სკამი“ თითქმის გრძნეულ ძალას ანიჭებს. 14. ის, ვინც ყოველგვარ იდუმალებასიცხადეს ქმნის და წარმართავს (დედამიწელთა რწმენით). 18. მდინარისპირელები, რომლებმაც ჩვენს ისტორიას ერთ-ერთი საოცარი გმირობა შემატეს. 19. ამ იარაღის შესახებ შეიძლება ითქვას - თუ პირდაპირმდგომი არ გიყვარს, კარგად ვერ გახერხავო (ანუ რა?). 21. ადამიანის ბედის დამრთველი არსებები ძველბერძნული მითოლოგიიდან. 23. წინა კითხვაში ნაგულისხმები არსებების ერთობ სამართლიანი დედა. 24. მემფისის საღვთო ხარი, ძველეგვიპტელთა ღვთაება.

## კროსვორდის მაგიური ძალა

*<u>დღევანდელ ნომერში შეგიძლიათ წაიკითხოთ (...და შეავსოთ)</u>*


- საკროსვორდო ენციკლოპედიის წინსვლა (ეს ენციკლოპედია კი ბევრს ხიბლავს, ბევრი კი ადგილის უაზრო კარგვად მიიჩნევს) – მე–2 გვ.
- ბატონი ჯუმბერ ლეჟავას მიერ შედგენილი მშვენიერი ლიტერატურული კროსვორდი (ჩვენ მოგვეწონა!) – მე–3 გვ.
- ჰერლუფ ბიდსტრუპის უსიტყვო კომიქსი – მე–6 გვ.
- თურმე სამოთხეში არც გათხოვებაა და არც ქორწინება ანუ აფორიზმების ანთოლოგია – მე–8 გვ.
- XX საუკუნის ულამაზესი ქართველი ქალები – მე–12 გვ
- დასასრული ჯეინ მენსფილდის თავგადასავლისა (დასაწყისი „ფანტაზია“ №175–176–ში) – მე–13 გვ.
- პატარა კურიოზები დიდი ადამიანების ცხოვრებიდან ანუ „კონვერტირებადი თემები“ – მე–14 გვ.
- ტოპ-მოდელების სამყაროს მორიგი წარმომადგენელი კარენ მიოლდერი – მე–16 გვ.


*<u>დღევანდელი ნომრის საუკეთესო ფრაზა</u>*

**ხდება ხოლმე, მხოლოდ ღიმილი შეგიყვარდება და იძულებული ხარ მთელი ქალი შეირთო ცოლად!...**

**აკროტერიუმი** - შენობის ფრონტონის კუთხეებზე მოთავსებული ქანდაკება.
**აკუგრა** - მთა ბზიფის ქედის განშტოებაზე.
**აკუდროხა** - მდინარე სოხუმის რ
**აკუზატივი** - ბრალდებით ბრუნვა ზოგ (ლათ. გერმ. რუს.) ენებში.
**აკუი** - სოფელი გუდაუთის რ
**აკუილა** (ლ'აკუილა) - ქალაქი იტალიაში.
**აკულტურაცია** - კულტურათა ურთიერთზეგავლენის პროცესი.
**აკუმენე** - ძვ.ათენელი ექიმი, სოკრატეს მეგობარი.
**აკუმი** - ესე არს არც მამალი, არც დედალი (საბა).
**აკუმულატორი** - ენერგიის დასაგროვებელი მოწყობილობა.
**აკუმულაცია** - დაგროვება, შეკრება (მაგ. ენერგიის).
**აკუპუნქტურა** - ნემსის ჩხვლეტით მკურნალობის მეთოდი.
**აკურა** - სოფელი თელავის რ
**აკურისხევი** - მდინარე თელავის რ
**აკურატული** - ზუსტად შესრულებული, წესიერი.
**აკურგანი** - ქალაქი უზბეკეთში, ტაშკენტის ოლქში.
**აკურიერი** - ქალაქი ჩრდ. ისლანდიაში.
**აკუსტიკა** - სმენადობის პირობები რაიმე შენობაში.
**აკუტაგავა რიუნოსკე** - XX ს დიდი იაპონელი მწერალი.
**აკუშერი** - ექიმი-მეანი.
**აკუშო** - სოფელი დუშეთის რ
**აკუშოსხევი** - მდინარე დუშეთის რ
**აკყულარი** - სოფელი მარნეულის რ
**ალა** - მთოვარის პირის ლიბრი (საბა).
**ალა** - წისქვილის ნაწილი, საფქვილე.
**ალაბაი** - ძაღლის ჯიში, შუააზიური ნაგაზი.
**ალაბამა** - შტატი და მდინარე აშშ-ში.
**ალაბასტრონი** - ანტიკურ სამყაროში გავრცელებული ცილინდრული ჭურჭელი.
**ალაბი** - სიგრძის საზომი ერთეული აღმ. ზოგ ქვეყანაში, იგივე ადლი.
**ალაბულა** - ნოტიოში ბეწვ-ჩალა (საბა).
**ალაგი** - იგივე ადგილი.
**ალაგე** - ღობეზე გადასასვლელი ადგილი.
**ალაგეზი** - მთა სომხეთში, იგივე არაგაწი.
**ალაგირი** - ქალაქი ჩრდ. ოსეთში.
**ალაგოასი** - შტატი ბრაზილიაში.
**ალადასტური** - ქართული ვაზის ჯიში.
**ალადაშვილი** ალექსანდრე - თერაპიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში.
**ალადი** - შუმერულ-აქადურ მითოლოგიაში კეთილი მფარველი სული.
**ალადინი** - არაბული ზღაპრის გმირი.
**ალაედინ ქეიყუბადი** - XIII ს სელჯუკთა სახელმწიფოს სულთანი.
**ალადოვი** ნიკოლოზ - XX ს ბელორუსი კომპოზიტორი.
**ალავარი** - სოფელი მარნეულის რ
**ალავერდი** - სოფლები ახმეტის და ზესტაფონის რაიონებში.
**ალავერდი** - XI ს აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ახმეტის რ).
**ალავერდი** - სუფრაზე სიტყვიერი გადაცემა სადღეგრძელოსი.
**ალავერდი** - ქალაქი სომხეთში.
**ალავერდიანი** ლეონ - სომეხი მსახიობი, საქ. სახალხო არტისტი.
**ალავერდობა** - 1) სახალხო დღესასწაული; 2) გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა.
**ალავესი** - ესპანეთის საფეხბურთო კლუბი.
**ალავი** - ძვ.ქართული საქორწილო ჩვეულება, პატარძლისადმი ძღვენის მირთმევა.
**ალავი** ბოზორგ - XX ს ირანელი მწერალი.
**ალავიტები** (ნუსაირელები) - 1) შიიტთა ერთ-ერთი სექტის მიმდევრები. 2) სამეფო დინასტია მაროკოში.
**ალაზანი** - 1) მდინარე საქართველოში. 2) XX ს სომეხი მწერალი.
**ალაზეა** - მდინარე იაკუტიაში.
**ალაზონები** - სკვითური ტომი ჩრდ. შავიზღვისპირეთში.
**ალათა** - ფანჯრის ჩარჩო.
**ალათაუ** (ჭრელი მთები") - სხვადასხვა მცენარეული საფარის მქონე მთები შუა აზიაში.
**ალათირი** - ქალაქი ჩუვაშეთში (რუსეთი)
**ალათუბანი** - სოფელი ახალქალაქი რ
**ალალახი** - უძვ.ქალაქი-სახელმწიფო სირიაში.
**ალალბედზე** - წინასწარ მოუფიქრებლად.
**ალალი** - შავარდნისებრთა ოჯახის მტაცებელი ფრინველი.
**ალალი** - მართალი, პატიოსანი.
**ალალია** - მეტყველების უნარის უქონლობა.
**ალამბარი** - სოფელი ქობულეთის რ
**ალამდარი** - მედროშე.
**ალამი** - იგივე დროშა.
**ალამიდა** - ქალაქი აშშ-ში, კალიფორნიის შტატი
**ალამოგორდო** - პოლიგონი, სადაც 1945 წ 16 ივლისს პირველად გამოსცადეს ბირთვული იარაღი.
**ალამუთი** - ციხე-სიმაგრე ჩრდ. ირანში, XI-XIII ს ასასინების თეოკრატიული სახელმწიფოს ცენტრი.
**ალანები** (ოსები) - ირანული წარმოშობ. ჩრდ. კავკასიური ტომები.
**ალანია** – სახელმწიფო IX-XIII სს ჩრდ. კავკასიაში.
**ალანია** – ვლადიკავკაზის საფეხბურთო კლუბი.
**ალანინი** - ბუნებაში ფართოდ გავრცელებული აციკლური ამინომჟავა.
**ალანკარა** - ძვ. ინდური პოეტიკის მხატვრულ-სტილისტიკურ ხერხთა სისტემა.
**ალანსონი** - ქალაქი საფრანგეთში, ორნის დეპარტამენტი.
**ალანტოინი** - ნივთიერებათა ცვლის ერთ-ერთი პროდუქტი.
**ალანტოისი** - უმაღლესი ხერხემლიანი ცხოველების ერთ-ერთი ჩანასახოვანი გარსი.
**ალანძა** - VIII-IX სს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი მესხეთში.
**ალაო** - ნოტიო და ჩახურებული ფქვილი.
**ალარდენი** - ბროწეულის გერკი (საბა)
**ალარიხ I** - ვესტგუთების მეფე IV-V სს.
**ალარკონი** პედრო ანტონიო - XIX ს ესპანელი მწერალი.
**ალარკოსი** - ქალაქი ესპანეთში.
**ალარმისტი** - პანიკის გამავრცელებელი ადამიანი.
**ალაროდები** - ჰეროდოტეს ცნობით, უძველესი ხალხი აქემენიდთა სახელმწიფოში.
**ალასკა** - აშშ-ს შტატი და ნახევარკუნძული.
**ალასტანელი** - ქართვ. უფლისწულთა ზედწოდება XIII-XIV სს.
**ალასტანი** - სოფელი ახალქალაქის რ
**ალასტორი** - დანაშაულისათვის სამაგიეროს მისაგებად მდევნელი დემონი.
**ალატი** – ქალაქი უზბეკეთში, ბუხარის ოლქში.
**ალაუნგპაია** (ალომპრა) - ბირმის დიდი მმართველი XVIII ს.
**ალაფანქვარა** - სოფელი ოჩამჩირის რ
**ალაფი** - 1) საომარი ნადავლი. 2) მარცვლეულისა და ფქვილის ვაჭარი.
**ალაქოლი** - გაუდინარი მლაშე ტბა ყაზახათში.
**ალაყაფი** - იგივე ჭიშკარი.
**ალაშანი** - უდაბნო ცენტრ. აზიაში, ჩინეთში.
**ალაშარა** (აფხაზ. „სინათლე") - გამომცემლობა და ჟურნალი საბჭოურ აფხაზეთში.
**ალაშთრახუ** - უღელტეხილი აფხაზეთის კავკასიონის მთ. ქედზე.
**ალაში** - საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი ორგანიზაცია ყაზახეთში.
**ალაჩოყი** - დროებითი საზაფხულო კარავი მთაში, უმთავრესად თუშეთში.
**ალაჭანი** - სოფელი თიანეთის რ
**ალახაძი** - სოფელი გაგრის სიახლოვეს.
**ალახ-იუნი** - მდინარე იაკუტიაში.
**ალაჯაჰოიუქი** - სოფელი ჩრდ. თურქეთში, არქეოლოგიური გათხრების ცენტრი.
**ალაჯუნე** - უთავბოლოდ მოსიარულე
**ალაჰაბადი** - ქალაქი ინდოეთში.
**ალაჰაშხუ** - სოფელი გუდაუთის რ
**ალაჰი** - მაჰმადიანთა ღმერთი.
**ალბა** - 1) ცისკრის სიმღერა, შუა სს სარაინდო პოეზიის ჟანრი; 2) ალვარეს დე ტოლედო ფერნანდო – XVI ს ესპ. სამხ.-პოლიტ. მოღვაწე, ჰერცოგი.
**ალბათ** - ვარაუდის სიტყვა (შეცდომაა – ალბად).
**ალბათობა** - რაიმე გარკვეული ხდომილების ამა თუ იმ გარკვეულ პირობებში გამოვლენის შესაძლებლობის რიცხობრივი მახასიათებელი.
**ალბა-იულია** - ქალაქი ცენრ. რუმინეთში.
**ალბა-ლონგა** - ლათინთა უძველესი ქალაქი იტალიაში.
**ალბანეთი** - 1) სახელმწიფო თანამედროვე ევროპაში. 2) სახელმწიფო უძველეს კავლასიაში.
**ალბანი** – მე-3 ბრიტანეთში ქრისტეანობისათვის წამებული პირველი ადამიანი.
**ალბასეტე** - ქალაქი ესპანეთში.
**ალბატროსი** - ქარიშხალასნაირთა ოჯახის ზღვის დიდი ფრინველი.
**ალბედო** - რაიმე სხეულის ზედაპირიდან არეკლილი სხივური ნაკადის ფარდობა მასზე დაცემულ სხივურ ნაკადთან.
**ალბედომეტრი** - ხელსაწყო სხვადასხვა ფიზიკური სხეულის ალბედოს გასაზომად.
**ალბენა** - კურორტი ბულგარეთში, ქალაქ ვარნასთან,
**ალბენისი** ისააკ მანუელ ფრანსისკო - XIX-XX ს ესპ. კომპოზიტორი და პიანისტი.
**ალბერდი** ხუან ბაუტისტა - XIX ს არეგენტინის დიდი პოლიტ. მოღვაწე.
**ალბერვილი** - 1) ქალაქი საფრანგეთში, ზამთრის XVI ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი (1992 წ). 2) ქალაქი ზაირში.
**ალბერი** ეჟენ დ' - XIX-XX ს ფრანგული წარმოშობის კომპოზიტორი და პიანისტი, ცხოვრობდა რიგაში.
**ალბერონი** ხულიო - XVIII ს ესპანაეთის დიდი პოლიტ. მოღვაწე
**ალბერსი** ჯოზეფ - XIX-XX სს გერმანელ-ამერიკელი მხატვარი.
**ალბერტა** - პროვინცია სამხრ.-დას. კანადაში.
**ალბერტ** I – ბელგიის მეფე 1909-34 წლებში.
**ალბერტ** II – ბელგიის მეფე 1993 წლიდან.
**ალბერტ დიდი** - XIII ს გერმანელი თეოლოგი, ფილოსოფოსი.
**ალბერტი** - 1) ლეონ ბატისტა - XV ს იტალიელი სწავლული. 2) რაფაელ - XX ს ესპ. პოეტი. 3) ფლორიან - უნგრელი ფეხბურთელი, 1969 წ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი.
**ალბერტი** - ტექტონ. წარმოშობის ტბა აღმ. აფრიკაში.
**ალბერტინა** - გრაფიკულ ნაწარმოებთა უმდიდრესი კოლექცია ვენაში.
**ალბიგოელები** - ქრისტიანულ-ბიურგერული მწვალებლობის მიმდევრები XII-XIII ს.
**ალბინი** ფრანკო - XX ს იტალიელი არქიტექტორი.
**ალბინიზმი** - ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ნორმალური პიგმენტაციის უქონლობა.
**ალბინოსი** - მთლად ან ნაწილობრივ თეთრთმიანი ადამიანი ან ცხოველი.
**ალბიონი** - ბრიტანეთის კუნძულების უძვ. სახელწოდება.

| | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვ | ი | ე | ძ | ა | ც | ო | ბ | ა | კ | ნ | ა | ი | დ | ე | ლ | ს |
| ო | ც | ო | ლ | ე | ჯ | გ | ა | კ | ა | ი | ა | ლ | ე | ვ | ვ | ი |
| ო | ე | ნ | ს | ი | ნ | ე | ძ | ჯ | ო | კ | ს | ბ | ი | ა | ხ | მ |
| ნ | ა | ი | ა | ლ | ა | ლ | ე | ძ | ი | ო | კ | ე | ი | ლ | ო | ბ |
| ა | პ | ლ | ვ | ე | ბ | უ | რ | ვ | მ | ნ | ე | კ | ზ | ი | ტ | ი |
| ბ | ი | ბ | ი | ი | ბ | ე | ს | ძ | ი | დ | ს | ი | მ | მ | პ | ვ |
| ე | პ | ი | ნ | ი | ს | ნ | ა | ს | ნ | ა | ი | ნ | ი | ი | ე | ი |
| რ | ვ | ი | ლ | ი | დ | ო | მ | ე | ი | ი | ჟ | ჟ | პ | რ | რ | ზ |
| ა | შ | ი | ლ | ლ | ი | ტ | ი | ნ | რ | კ | ა | ი | ვ | დ | ე | მ |
| ი | ა | რ | ე | ი | ი | დ | რ | ე | კ | უ | ტ | რ | ტ | რ | ა | ი |
| პ | ვ | ლ | ი | ა | ტ | ნ | ა | რ | ბ | მ | ი | ი | გ | ე | მ | ნ |
| ა | კ | ი | ი | ნ | რ | ე | ბ | ლ | ო | ე | მ | ო | რ | ი | ნ | ო |
| ლ | ა | ვ | შ | ა | ი | დ | უ | გ | მ | რ | რ | ე | ო | ბ | ზ | მ |

1. წიგნი, რომელიც აღორძინების ეპოქის მხატვართა შთაგონების მთავარი წყარო იყო.
2. პროცესი, რასაც სხვაგვარად ევროპული ხელოვნების აღორძინება ეწოდება.
3. XVII საუკუნის დიდი ჰოლანდიელი მხატვარი.
4. ფართოპლანიანი ფერწერული ნამუშევარი.
5. XIX-XX საუკუნეების ზღვარზე არსებული მიმდინარეობა ევროპულ ფერწერაში და ზოგადად ხელოვნებაში.
6. ცნება, რაც თვითნასწავლი მხატვრების შემოქმედებას აერთიანებს.
7. მხატვრის სამუშაო ინვენტარი.
8. რუსი მხატვარი, ავტორი ლერმონტოვის „დემონის" ილუსტრაციებისა.
9. მსოფლიო ფერწერული ხელოვნების ყველაზე დიდი იდუმალებით მოცული პორტრეტი.
10. მეორე მსოფლიო ომის დროინდელი სამი რუსი მხატვარ-კარიკატურისტის გამაერთიანებელი სახელი.
11. დიდი რუსი მხატვარი, ავტორი ნახატისა „ბურლაკები ვოლგაზე".
12. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი კოლექციის მქონე სამხატვრო მუზეუმი.
13. პარიზელ მხატვართა „უფასო" გამოფენების ადგილი.
14. შესანიშნავი ქართველი თეატრალური მხატვარი, ბატონი ფარნაოზი.
15. სამხატვრო სადებავების სახესხვაობა.
16. დიდებული ქართველი მხატვარი ქალი.
17. ქართული ფერწერული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი.
18. იტალიური წარმოშობის ფრანგი თვითნასწავლი მხატვარი.
19. აღორძინების ეპოქის დიდი იტალიელი მხატვარი და მოქანდაკე.
20. გვიანი ფეოდალური ხანის დიდი ესპანელი მხატვარი.
21. XVIII ს ინგლისელი მხატვარი.
22. რა ეწოდებოდათ მხატვრებს, რომლებიც 1870 წელს შექმნილ რუს მხატვართა ამხანაგობაში იყვნენ გაერთიანებულნი?
23. რუსი მხატვარი, კითხვა № 22-ში ნაგულისხმები ამხანაგობის აქტიური წევრი.
24. ქართველი მხატვარი, იმერული პეიზაჟების უბადლო შემქმნელი.
25. თანამედროვე ქართველი მხატვარი, ბატონი თემო...

*ცნობისმოყვარეთათვის*

## რამდენს იწონის მთელი მსოფლიოს ოქრო?

- დღეს აშშ-ს ოქროს მარაგი 8140 ტონას შეადგენს
- მეორე ადგილზეა გერმანია, რომელიც 2 ათას 960 ტონა ოქროს ფლობს; შემდეგ: შვეიცარია, რომლის საცავებში 2590 ტონა ოქრო ინახება; საფრანგეთიც საკმაოდ მდიდარია - 2547 ტონა; ხუთეულის ბოლოში კი იტალიაა განთავსებული 2047 ტონით.
- აღნიშნულ ქვეყნებთან შედარებით უფრო „ღარიბები" არიან ჰოლანდიელები (842 ტონა), იაპონელები (754), დიდბრიტანელები (573), პორტუგალიელები (500) და აშ.
- რუსეთის ოქროს მარაგი ამჟამად 463 ტონას შეადგენს.
- საოცარია, მაგრამ ეთნიკურ-რელიგიურ კონფლიქტებში ჩართული ალჟირი 174 ტონა ოქროს ფლობს და თვით შვედეთსაც კი (147) უსწრებს.
- მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებზე 2868 ტონა ოქრო მოდის.

შეადგინა ჯუმბერ ლეჟავამ



**თარაზულად**: 4. იოსებ ტფილელის ისტორიული პოემა. 8. ავტორი რიმანებისა „გვირგვილიანების ოჯახი“ და „უბედური რუსი“. 9. ქართველი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი, ბატონი შალვა (...რომლის ნამდვილი გვარი შეწირული გახლავთ). 11. პერსონაჟი დანიელ ჭონქაძის მოთხრობისა „სურამის ციხე“. 12. პერსონაჟი ალექსანდრე ყაზბეგისეული „ხევისბერი გოჩასი“. 16. ალექსანდრე ბაგრატიონის თხზულება. 19. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა გალაკტიონის ლექსში: „ვერც ...... ძმობის გამოდარებას/ ითმენს სახალხო მშვიდობის მტერი“. 20. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,/ გადახვეოდა იასა...“ (ავტორი?). 22. „საფარ-....... პირშავობა/ შენი ვიცი, შემიტყვია/ და დღეიდან ჩვენ ორ შუა/ მოციქული არის ტყვია“. 23. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა გალაკტიონის ლექსში: „ღვინის გადაჰკარ თასი/ ასი ათასი ასწი!/ ასწი, გადაჰკარ...... 26. (ისევ გალაკტიონის ლექსი) ჩასვით გამოტოვებული სიტყვა: „გზაზე არ მოჩანს არსით, მხოლოდ ქარი ჰქრის ნელა,/ ცაზე ანათებს ......../ და ქვეყანაზე ბნელა. 27. სოციალ-ფედერალისტთა ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი, რომელიც 1907-08 წლებში გამოდიოდა. 28. მოსე ხონელის თხზულება. 29. სიმონა ძალაძის „პროფესია“ (გურულად). 30. სუბიექტი, რომელსაც დავით გურამიშვილის მეგობარი კაზაკი აუხირდა. 31. აღმოსავლური ლექსთწყობის ფორმა, რომელსაც ჩვენი აშუღებიც იყენებდნენ. 32. სოსოიას რუსის გადამრჩენელი „არსება“. 34. დიდებული ქართველი პოეტი ქალი, რომელიც მხოლოდ სახელით შერჩება ისტორიას. 35. გიორგი ექვთიმეს წერეთლის (1842-1900 წწ) ფსევდონიმი. 38. ქართული დამწერლობის სახესხვაობა. 39. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი (ფსევდონიმი). 41. ნიკო ლომოურის მოთხრობა. 43. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა. 44. რუსთველისეული ავთანდილის მამის თანამდებობა. 47. (კიდევ ერთი) პერსონაჟი ალექსანდრე ყაზბეგისეული „ხევისბერი გოჩასი“. 49. ემიგრაციაში მოღვაწე ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ლიტერატურათმცოდნე-ქართველოლოგი. 52. იოსებ გრიშაშვილის ლექსი („....... სადაც კლდის ქიმზე/ დგას ნარიყალა ჯავრით მზირალი...“). 53. კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობა. 55. ნოდარ დუმბაძისეული ინგას პროფესიის ერთ-ერთი ვარიანტი. 58. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა: „მისი სახელი ......., არს ესე საცოდნარია“. 60. პერსონაჟი შალვა დადიანის პიესისა „ცოცხი და ლოკოკინა“. 63. ალექსანდრე აბაშელის ლექსი („თბილისს ლაჟვარდი შემოეღობა/ და მზემ ულევი ოქრო დაყარა“). 66. რევაზ ინანიშვილის მოთხრობა. 68. ნოდარ დუმბაძისეული პოპულარული პერსონაჟი. 69. ჩვენი მისამღერი. 70. ქართველი პოეტი, ავტორი პოემებისა „ბასიანის ბრძოლა“ და „კოლხიდა“. 71. იოსებ გრიშაშვილის ლექსი („ეს მთა ჩემია! ეს ხე ჩემია! / - მე ვიმეორებ ყოველ ცისმარე“).

**შვეულად**: 1. სრულყოფილების განსახიერება, მისწრაფეთა საბოლოო მიზანი. 2. ჩასვით გამოტოვებულოი სიტყვა მუხრან მაჭავარიანის ლექსში: „.......... / უნატიფესი ენა ქართული,. –/ ყველაზე მეტად რომლის ლაზათი/ შოთას ლექსშია გამოხატული. 3. ჩვენი პოეტი ...... ეული (ა.ქურიძე). 4. ნოდარ დუმბაძის მოთხრობა. 5. აკაკი ბელიაშვილის მოთხრობა „ახალგაზრდების“ მთავარი მოქმედი პირი. 6. ერთ-ერთი ორთაგანი ძირითადი სუბიექტი აღმოსავლური წარმოშობის სატრფიალო პოემებიდან. 7. ისევ მუხრანის ლექსი – „არვინ შენ არ გეზრუნება ქვეყნად შენს გარდა ........“ 8. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა ბესიკის ლექსში - „ვარდო სასურო, მაისურო, გრწყავს წვიმა, .......“. 10. „ქვათა ღაღადის“ ავტორის სახელი. 11. ჩვენი უპირველესი ლიტერატურული ქმნილება. 13. ტიციან ტაბიძის პროზაული ნაწარმოები. 14. მიხეილ ჯავახიშვილისეული პოპულარული ნაწარმოები. 15. სარგის თმოგველის რომანული ეპოსი. 17. გალაკტიონის ლექსი - „......., რარიგ მსურდა ...../ რომ მგოსანი ვყოფილიყავ და მემღერა ჰანგი მუდამ“). 18. იაკობ გოგებაშვილის მშობლიური სოფელი. 21. ვაჟასეული „ჩხიკვთა ქორწილის“ პერსონაჟი. 22. ვაჟას მოთხრობა. 24. გალაკტიონის პოემა. 25. ჩვენი პოეტი (.....) ვაკელი (ნამდვილი გვარი - მეგრელაძე). 33. ხელნაწერის პირი. 34. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა - „მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს .... რგულია“. 36. გამსახურდიასეული დავით აღმაშენებლის“ პერსონაჟი. 37. არაბული სახელების შემადგენელი ნაწილი. 39. ქართული ზმნისწინი. 40. ქართული გაზეთი. 42. ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსი. 43. ნორვეგიელი მწერალი. 45. გრიგოლ ორბელიანისეული ვინმე ბოქულაძის პროფესია. 46. ქართული გაზეთი (რაჭული „ორიენტაციისა“). 47. ბათუ აფხაზის და საფარბეგის უახლოესი ადამიანის „პროფესიის“ სინონიმური სიტყვა. 48. „მთვარის მოტაცების“ პერსონაჟი ქალი. 50. გრიგოლ რობაქიძის თხზულება. 51. მირზა გელოვანის ბალადა ციკლიდან „ცხრაკარა“. 53. ანა ხახუტაშვილის ფსევდონიმი. 54. ისევ გამოტოვებული სიტყვა: „ტარიელ, ასმათ, ავთანდილ თვალთაგან ცრემლნი დალამნეს, / სამთავე ღაწვთა ალამნი ....... ფერად ალამნეს“. 56. დემნა შენგელაიას ნაწარმოების – „განძის“ – პერსონაჟი. 57. ინანიშვილიც, ჯაფარიძეც, მიშველაძეც. 58. კოლაუ ნადირაძის ლექსი („კარგია, როცა ქუჩაში გახვალ, / და სულში ლექსი რუსთველის მღერის“). 59. ქართული სატირულ-იუმორისტული ლექსი. 61. ლიტერატურული ნაწარმოები. 62. (......) ფორია „გვადი ბიგვადან“. 64. ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა. 65. აკაკის ლექსი („მშვენიერო, შენ გეტრფი, შენი მონა, მორჩილი!“). 66. გოდერძი ჩოხელის მოთხრობა. 67. ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსი („შენ ხარ ....... /სულმნათო, მადლი ზეცისა შეგნათის“).

**თარაზულად**: 1. მინდვრის ფრინველი. 4. იგივე... უფრო სწორად, „თავისუფალი კალატოზი“, ანუ ერთგვარი საიდუმლო საზოგადოების წევრი. 9. კათოლოციზმის წინააღმდეგ ამხედრებული რელიგიური განშტოების წარმომადგენელი. 17. ამერიკელი მსახიობი, ბერტ... თუნდაც ცნობილი ფილმიდან „ნიურნბერგის პროცესი“. 18. XVII საუკუნის დასაწყისის ჰოლანდიელი მხატვარი-მარინისტი. 19. წინამდებარე ჯირკვლის ანთება. 22. გულის ქმედების გამოსაკეთებელი პოპულარული მედიკამენტი. 23. (თურქულად ეს სიტყვა „ჭიქას“ ნიშნავს) ჩვენთან კი – საშინელ არეულობას... ანუ? 24. რუკების შედგენის მეცნიერება. 28. ქალი, რომელიც უებროდ უყვარდა „ილიადის“ ერთ-ერთ გმირს, ჰექტორს. 29. დროსთან დასაპირისპირებელი დამხმარე საშუალება. 30. ჰენრი ლონგფელოს ერთი ცნობილი პოემის მთავარი გმირი, რომელმაც XVII საუკუნეში ამერიკის ჩრდილოეთი ნაწილის კოლონიალიზაციას დაუდო საფუძველი. 34. ქართველის მოსახსენიებელი სიტყვა გიორგი ერისთავის პიესა „გაყრის“ თანახმად. 35. დამდგარი ან მდორე წყლის თვისება. 36. 1970 წ ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი. 37. თანამედროვე მსოფლიოს რიგი ქვეყნების ტერიტ.-ადმინისტრაციული ერთეული. 42. მუშათა ხელმძღვანელი. 43. ჩვენი მზიურელების ერთი პოპულარული რუსული სიმღერის პერსონაჟი. 44. სწორი აღქმის დარღვევა თავის ტვინის ქერქის დაზიანების გამო. 45. სამშენებლო დანიშნულების მანქანა. 50. გერმანული წარმოების ავტომობილი. 51. XX ს ფრანგი მწერალი, სიურრეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. 52. ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტ. პერსონაჟი. 53. სქესობრივი კავშირი მამაკაცებს შორის. 57. ოპტიკური ეფექტის გამოისობით შექმნილი არარეალური არსება. 58. თანამედროვე კინოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კინორეჟისორი. 59. დიდი სტადიონების შემადგენელი ნაწილი. 60. ხმელეთისა და ზღვის კონტაქტის სკანდინავიური კონფიგურაციის სახესხვაობა. 65. პერსონაჟი პუშკინისეული „ევგენი ონეგინისა“. 66 ამერიკის დაპყრობაში ლომის წილის შემტანი კონკისტადორი. 67. ედმონდ დანტესის მშობლიური ქალაქი. 68. 1933 წ შექმნილი პირველი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი. 73. ავტორი თერმომეტრის შკალისა, რაზედაც წყლის დუღილი +212 გრადუსზეა დაფიქსირებული. 74. ძველრომაული ლაშქრის შემადგენელი ერთეული. 75. ერთგვარი მედიკამენტების გამაერთიანებელი საერთო სახელი. 79. ქალი თმა-წვერის მქონე ანუ როგორი? 80. გარეშემომწერი ხაზის სახესხვაობა. 81. აღმოსავლური ტიპის სასწავლო დაწესებულება. 82. ადამიანთა მიერ შექმნილი არასასიამოვნო აკუსტიკური ეფექტი. 87. უზენაესობის გამომხატველი რიცხვი რუსთველისათვის. 88. სიკვდილით დასჯისათვის განკუთვნილი ამაღლებული ფიცარანგი. 89. ჯონ კენედის მკვლელი, ლი ჰარვი....... 90. სიტყვა, რითაც ყველა ლოკალური ადგილის არსებობას უარვყოფთ. 91. რა ჰქვია არდანს, ფრანგ კინომსახიობ ქალს? 96. მორის რაველის ბალეტი. 97. ამ ბოლო დროს გამოსული ფანტასტიური ვიდეოფილმი (...რომელსაც ვერც თავი გავუგეთ და ვერც ბოლო).. 98. შენობის საცნობ-გამოსარჩევი საშუალება. 99. ბერძნული მითოლოგიის გმირი, არგონავტთა ლაშქრობის მონაწილე, რუბენსის ნახატის „კალიდონის ნადირობის“ პერსონაჟი. 103. გვარი რომან „ვაზის ყვავილობის“ მთავარი პერსონაჟის, გოდერძისა. 104. ქიმიური ელემენტი. 105. მეფისა და ჩემპიონის საერთო „ინვენტარი“. 110. XIX ს მეორე ნახევრის დიდი გერმანელი სახელმწიფო მოღვაწე. 111. ადრეული პერიოდის საბჭოეთის პოპულარული საესტრადო მომღერალი და კინომსახიობი მამაკაცი. 112. ქართული მხატვრული ფილმი ერთი აჭარელი ვაჟკაცის შესახებ. 113. ფილიპინების პრეზიდენტი ქალბატონი. 118. ჰაერის ამამოძრავებელი დანადგარი. 119. სამყარო, სადაც ახლა „ყველა გზა მიდის“. 120. „ტიტული“, რომლის მოხმარებისას ქართველს „ხუთიანი“ უწერია. 124. დიდი ზომის ფრინველი. 125. სიბრძნის, ხელოვნების და ომის ქალღმერთი ბერძნული მითოლოგიის თანახმად. 126. შთამომავალთა ერთიანობა... დასავლელქართველისათვის. 127. გოგი ქავთარაძის და ზაზა კოლელიშვილის საერთო როლი. 128. ფუტკრის „ხუროთმოძღვრული“ ნიჭიერების დამადასტურებელი ქმნილება. 133. მდინარე იაკუტიაში, ლენას შესართავი. 134. ადამიანის ფსიქიკურ-ფიზიკური უნარის დაქვეითება ავადმყოფობის ან მოხუცებულობისა გამო. 135. გუნდი, რომელთან აღართამაშით ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებას მრავალი მძაფრი განცდა მოაკლდა. 136. დაახლოებით ასი კაცისაგან შემდგარი სამხედრო ქვეგანაყოფი ძველ რომში. 140. ძველევროპული სამგზავრო საშუალება. 141. შუა სს ევროპის ერთ-ერთი ცნობილი რელიგიური მოღვაწე-რეფორმატორი. 142. იტალიური წარმომავლობის საკვები. 147. XVII ს ჰოლანდიელი მხატვარი. 148. მხატვარ-გრაფიკოსის მთავარი სამუშაო ინვენტარი. 149. XX ს დასაწყისის რუსი მწერალი, ავტორი მოთხრობისა „Гранатовый браслет“. 150. ცხოველთა მიერ გადამუშავებული საკვები. 155. გემის ნაპირთან მოსაზიდად ან ტვირთის გადასაადგილებლად გამოყენებული ვერტიკალური ლილვის მქონე მექანიზმი. 156. სომხური მუსიკის კლასიკოსი კომპოზიტორი. 157. ანტიკური ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე სახალხოდ ცნობილი გმირი. 161. ...... სანჩეს ვიკარიო... ესპანელი ჩოგბურთელი ქალი. 162. „ბარის“ სახელი ედუარ მანეს ცნობილი იმპრესიონისტული ნახატის თანახმად. 163. ახლო წარსულის შვედი ფეხბურთელი. 164. ვინ იყო სადაურობით კონსტანტინე არსაკიძე? 165. ჩელენტანოს ერთი პოპულარული კინოპერსაონაჟის სახელი. 166. საფოსტო ატრიბუტიკის შემგროვებლობა. 167. მდინარე ამაზონის ზემო დინების სახელწოდება. 168. პერსონაჟი, რომელსაც ორივე ძმა ზაქარიაძე ასრულებდა რუსთაველის თეატრში.



**შვეულად**: 1. თანამედროვე რუსი ფეხბურთელი. 2. ვარდისებრთა ოჯახის მორჩილი ხე ან ბუჩქი. 3. ტოპონიმი, რომელიც ბერლინში მდებარე ერთ ცნობილ ჭიშკარს დაენათლა. 5. გერმანიის სამრეწველო რეგიონი. 6. ნორვეგიის საფეხბურთო კლუბი. 7. ზოგადი სახელი ადგილისა, სადაც ცხოველებს ხოცავენ. 8. სახელი ქალბატონისა, რომელსაც გარკვეული დროის წინ მიჰყავდა ტელეგადაცემა „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 10. მსხვერპლი, ზვარაკი, შესაწირავი.... კიდევ? 11. როგორი შემადგენლობები ჰყავთ გუნდებს მატჩის დასაწყისში? 12. ბეთჰოვენის ცნობილი საფორტეპიანო ნაწარმოები. 13. მარადმწვანე მცენარე. 14. პორნოვარსკვლავის, ჩიჩოლინას ნადვილი სახელი. 15. რეზინების გაწელვაზე აგებული სპორტული სავარჯიშო ინვენტარი. 16. იტალიის შემადგენლობაში შემავალი ოლქი. 20. მეცხვარეთა უფროსი. 21. დიდბრიტანული ფულის შემადგენელი ნაწილი. 25. ძვ.ბერძნულ მითოლოგიაში: ზღვის ღმერთთა, ნერევსისა და დორიდას ქალიშვილი, პოსეიდონის მეუღლე. 26. XX საუკუნის ვენესუელის ყველაზე ცნობილი პოლიტ. მოღვაწე. 27. განუწყვეტლივ განმეორებადი ანუ როგორი? 31. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი. 32. ის, რის გამოც ქართველებს დასცინიან. რადგან „მასთან კონტაქტი იციან“. 33. მანძილის საზომი ერთეული. 38. ფუძეზე მყარად მდგომი ანუ როგორი? 39. ქალაქი ვიტებსკის ოლქში. 40. ძველინგლისური ფული. 41. სითხის საზომი ერთეული. 46. შვედი მწერალი ქალი, პირველი ნობელიანტი ქალი. 47. ახლომონათესავე მცენარეთა შეჯვარება. 48. ჰერაკლეს მიერ დამარცხებული ტიტანი ბერძნული მითოლოგიის თანახმა. 49. კუნძული, რაზედაც სამი სახელმწიფოს ტერიტორია მდებარეობს. 54. ევროპის რეგიონი. 55. ილიასიც, აკაკისაც, ვაჟასიც და სხვებისაც... თბილისში. 56. ცხინვალის ერთ-ერთი ყოფილი სახელი. 61. როგორია ის სხივები, რომელთაც უხილავი ელექრეომაგნიტურობა ახასიათებთ. 62. ელექტროდენის ძაბვის საზომი ერთეული. 63. აბანოს სახესხვაობა. 64. ევროპის 1992 წლის ჩემპიონი ფეხბურთში. 69. ალამდარი ანუ ვინ (გამოიყენეთ საკროსვორდო ენციკლოპედია). 70. სუბტროპიკულ ზონებში გავრცელებული მცენარეების ზოგადი სახელი. 71. კონდიტერის სამუშაო ინვენტარი. 72. ჟაკ-ივ კუსტოსათვის აუცილებელი მოწყობილობა. 76. ჰოლივუდელი მსახიობი თუნდაც ფილმიდან „ანა და მეფე“. 77. დეტექტივის თანამედროვე ოსტატი, სიდნი.... 78. სიგრძის საზომი ერთეული. 83. საჰარის უდაბნოში მოსახლე ტომები. 84. არცთუ შორეული წარსულის მსახიობი რუსთაველის თეატრისა, ბატონი ემანუელი. 85. ქიმიური ელემენტი. 86. რუსი მწერალი, რომელმაც 60-იან წლებში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. 92. მრავალწახნაგად თლილი ალმასი. 93. კოსმეტოლოგიაში გამოყენებული ქიმიური ხსნარი. 94. საქართველოს ერთ-ერთი მთიელი. 95. ჰოლანდიური ლუდი. 100. პოეტური, სტილისტიკური ხერხი, რაც მდგომარეობს ფრაზის შედგენისას გრამატიკული წესის დარღვევაში. 101. ძვირფასბეწვიანი ცხოველი. 102. ამერიკელი მწერალი-ნოველისტი (სახელი და გვარი). 106. თუ აგულისებრად ვიაზროვნებთ – ჰიუგოს „ქალიშვილი“. 107. პურეულის სალეწი ძველისძველი იარაღი. 108. საბჭოური ეპოქის პოპულარული ესტონელი მომღერალი ქალი. 109. შენობის შიგნითა ნაწილი. 114. დადგენილი ნორმის შესაბამისობა. 115. საბჭოურ ეპოქაში ემიგრირებული რუსი მსახიობი. 116. თანამედროვე კინოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო რეჟისორი. 117. საკომუნიკაციო აუცილებობა. 121. თანამედროვე რუსული კინოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი და რეჟისორი. 122. ქალაქი იტალიაში. 123. ხელის კონფიგურაციული სახესხვაობა. 129. მსახიობის მიწვევა სპექტაკლში მონაწილეობისათვის გარკვეული ვადით. 130. მავანი სპარსი ქართული ლიტერატურიდან. 131. პერსონაჟი რომანისა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“. 132. უძრავი ანუ როგორი? 137. გაერთიანებული საქართველოს რამოდენიმე მეფის სახელი. 138. ავადმყოფებისა და ბავშვების ორგანიზებული სამედიცინო მომსახურება შინ. 139. მომგებიანი ქულა ძუდოში. 143. პერსონაჟი ოთარ მეღვინეთუხუცესის კინოგალერეიდან. 144. სატრანსპორტო ერთეულთა სპეციფიური სახესხვაობა. 145. ალპინისტების გადასვლა მთაგრეხილის თხემზე. 146. გამოდიოდა ერთდროს ამ დასახელების აღმოსავლური ლიტერატურის კრებული, რაც სიტყვასიტყვით „საჩუქარს“ ნიშნავს (ანუ რა?). 151. სახელმწიფო აფრიკაში. 152. შხამიანი გველი. 153. **იხილეთ ფოტო**. 154. ნახევარი არსება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან. 158. ქალაქი-პორტი საფრანგეთში. 159. ორგანიზაცია, რომელსაც კირსან ილუმჟინოვი ხელმძღვანელობს. 160. (.....) შირერი, ინგლისელი ფეხბურთელი.



# ფანტაზიორი

რუბრიკას უძღვება
ვახტანგ ელერდაშვილი
(პასუხები მე-13 გვერდზე)

**კითხვა №1**

მეცნიერი-ფიზიოლოგები ფიქრობენ, რომ ეს ადამიანის სხეულის ყველაზე დიდი ორგანოა. მისი ნაწილების გადანერგვა დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ ჯერ ვერავინ მოახერხა მისი მთლიანად გადანერგვა...

**რა ორგანოა ეს? (5 ქულა)**

**კითხვა №2**

ამერიკელმა სცენარისტმა უილსონ მიზნერმა თქვა - „ამ წიგნის მიხედვით შესაძლებელია კარგი ფილმის გადაღება, ოღონ ესაა, რომ ძალზედ ბევრი პერსონაჟი იქნებაო...“

**რა იგულისხმება? (6 ქულა)**

**კითხვა №3**

ნორვეგიაში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი „ტატარეს ენაზე“ მეტყველებს; რა თქმა უნდა, ნორვეგიაში არანაირი თათრები არ ცხოვრობენ და აღნიშნულ ენაზე მეტყველებენ მათი შთამომავლები, ვინც 1544 წელს ინგლისურმა ხომალდებმა გადასხეს ნორვეგიის უკაცრიელ ნაპირებზე და ბედის ანაბარა მიატოვეს.

**რა ხალხია ეს? (7 ქულა)**

**კითხვა №4**

ამ საგანს თავის სამშობლოში ჰქვია - „სომბრერო დე პახა ტოკილია“ (ტოკილიას ლერწმისაგან დამზადებული ქუდი). ევროპაში კი, სადაც ის ასიოდე წლის გამოჩნდა, მას სხვა რამ დაერქვა...

**რა? (7 ქულა)**

**კითხვა №5**

1388 წელს ინგლისში გამოჩნდა საპარლამენტო დადგენილება, რომელიც სტუდენტებს ცხოვრების მატერიალური პირობების გაუმჯობესების საშუალებას აძლევდა, თუმცაღა ეს საშუალება არცთუ სასაიამოვნო და მისაღები იყო დანარჩენი მოსახლეობისათვის, გნებავთ მდიდრის და გნებავთ ღარიბისათვის....

**რას გულისხმობდა ეს ბრძანება? (11 ქულა)**

**კითხვა №6**

1972 წელს ვულკან ეტნას ლავა სოფელ სანალფიოსაკენ რომ ეშვებოდა, მისმა მცხოვრებლებმა სასწრაფოდ მიატოვეს სახლები, ერთის გამოკლებით, რომელიც თავის საგანგებო იარაღს დიდხანს იშვერდა ჩამოცურებული ლავის ენებისაკენ.

**რა იარაღი იყო ეს? (12 ქულა)**

**კითხვა №7**

პოლონელთა ერთ-ერთი სარაინდო ორდენის დევიზი ასე ჟღერდა - „რწმენის, მეფის და კანონისათვის“.

**რა შემთხვევაში იცვლებოდა ეს დევიზი ასე – „რწმენის, ხალხის და კანონისათვის? (12 ქულა)**

**კითხვა №8**

შუა საუკუნეების ერთი აღმოსავლელი მეცნიერის აზრით, დედამიწას ფრინველის ფორმა აქვს, რომლის კუდი აფრიკა გახლავთ, მარჯვენა ფრთა ინდოეთი და სპარსეთი, მარცხენა კი - იაჯუდ-მაჯუდის ქვეყნები...

**სად მდებარეობს ამ ფრინველის თვალები? (10 ქულა)**

**კითხვა №9**

ცნობილი მაფიოზი ალ კაპონე ამბობდა, რომ ტკბილი სიტყვით და რევოლვერით ხშეიძლება ბევრად უფრო მეტის მიღწევა, ვიდრე...

**დაასრულეთ ალ კაპონეს აზრი (10 ქულა)**

**კითხვა №10**

იგი თავის ცხენს სიტყვასიტყვით ასე მოიხსენიებდა - „ყოფილი ცხენი“ ან „ოდესღაც ცხენყოფილი“.

**რა სახელითაა ახლა ჩვენთვის ეს ცხენი ცნობილი? (5 ქულა)**

**კითხვა №11**

იმ ეპოქის ისტორიულ ქრონიკებში ნათქვამია, რომ 6 მილიონი ადამიანი შიმშილით გარდაიცვალა, 8 მილიონი ომების მსხვერპლი შეიქნა, 9 მილიონი „შავი ჭირის“ ეპიდემიამ იმსხვერპლა...

**რა გახდა მიზეზი 12 მილიონი ადამიანის სიკვდილისა მაშინ? (9 ქულა)**

**კითხვა №12**

როგორც ცნობილია, გამოთქმა „ევრიკა!“ ეკუთვნის არქიმედეს

**ვის ეკუთვნის შემდეგი ფრაზა – “Eppur si muove!”? (9 ქულა)**



პერლუფ ბიდსტრუპის ნახატი

## სხვათა შორის, იცით თუ არა

...რომ სუმოისტების პაექრობაში იმარჯვებს ის, ვინც აიძულებს მოწინააღმდეგეს, რომ სხეულის ნებისმიერი ნაწილით - მუხლით, ხელით, თავით - შეეხოს ხალიჩას ან გავიდეს ხალიჩის გარეთ.

...რომ ბორუსია პრუსიის ლათინიზირებული ვარიანტია.

...რომ1829 წლამდე ინგლისში ნებისმიერი სახის ქურდობა სიკვდილით ისჯებოდა.

...რომ თუ კომპასის ისარი ქარის მიმართულებას აჩვენებს, ეს ფლიუგერი გახლავთ.

...რომ “... плохой танцор - хороший папа” (გამგებმა გაიგოს!).

## ფანტაზია!



**ინტელექტუალთა საზაფხულო ტურნირი**
**მე-2 ტური**
**გაიმართება 19 ივნისს, *ოთშაბათს* 18-დან 20 საათამდე**

**თუ ოთხივე კითხვას ზუსტი პასუხი გასცემთ, მიიღებთ 10 ლარს. ორი და მეტი გამარჯვებული პასუხის შემთხვევაში ეს 10 ლარი თანაბრად გაიყოფა გამარჯვებულებზე. მე-5 საპრემიო პასუხის სწორი ამოცნობისათვის დამატებით მოგვცემათ 5 ლარი, ოღონდ... საპრემიო პასუხი ჩაეთვლებათ მხოლოდ მათ, ვინც საკონკურსო ოთხ კითხვას ზუსტ პასუხს გასცემს. საპრემიო კითხვაზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის. თანხა გამარჯვებულებს სურვილისამებრ მიეცემათ სამი ტურის შემდეგაც.**

**პასუხები მიიღება ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით გაზეთის გამოსვლის მეოთხე დღეს, *ოთშაბათს* 18-დან 20 საათამდე.**

**– ჩვენი ტელეფონებია: 79-53-70, 8 (77) 45-19-80**
**ელექტრონული ფოსტა: vakho20@ ti.net.ge**

**პირველი ტურის პასუხები და შედეგები:**

1. ეს გახლავთ **თეატრის** შენობა, ჩაეთვალათ მათაც, ვინც „ოპერა“ დაასახელა (ვარიანტები - მუზეუმი, პიზას კოშკი, დაკიდული ბაღები). 2. **გალანტერეა** (იგულისხმება სიტყვა „გალანტურობა“, რაც თავაზიანობას ნიშნავს). 3. **ყურის ექიმს** (ვარიანტები - თარჯიმანს, პოლიციას, ცნობათა ბიუროს). 4. **40** კილომეტრი. საპრემიო კითხვა - ხსენებული მეტსახელი ითარგმნება, როგორც **„ორრქიანი“** (მისი ჩაფხუტის ფორმის გამო), პასუხი „რქიანიც“ ჩაითვალა.

სულ მონაწილეობა მიიღო 15-მა მკითხველმა, ოთხივე კითხვა ვერავინ გამოიცნო და შემდეგ ტურში გათამაშდება 20 ლარი

**3 ქულა** - ნოდარ გოქაძე, მერაბ წიკლაური

**2 ქულა** - ვაჟა პაპუაშვილი, გია ჯვარშეიშვილი, სოფიკო დუნდუა, პაატა თალაკვაძე, დიანა საღრიშვილი.

**1 ქულა** - ნუკრი მაისურაძე, ანდრო მჭედლიშვილი.

6 მონაწილეს ქულა არ დაეწერა.

ამ შედეგებს შეიძლება დაემატოს ელექტრონული ფოსტით მიღებული პასუხებიც.

**კითხვა №1**

ამერიკელები ხუმრობენ, რომ ამ დღეს შეიძლება მათს ქვეყანას თავს დაესხათ და ყურიც არავინ შეიბერტყოს... ეს დღე კი ამერიკული ფეხბურთის თასის გათამაშების ფინალს უკავშირდება; თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, ევროპის ერთ ქვეყანაზეც შეიძლება თავდასხმა ერთ დღეს მისი მცხოვრებლების განსაკუთრებული დაკავებულობისა გამო... გამოავლინეთ კინომოყვარულის ერუდიცია და გვიპასუხეთ

***რა ღონისძიება გააადვილებს ნაგულისხმებ ქვეყანაზე თავდასხმას?***

**კითხვა №2**

ბიბლიური მათუსალას ამბავი მოგეხსენებათ - იცხოვრა თავისთვის რაღაც ათასიოდე წელი და გარდაიცვალა... თუმცაღა გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი რადგან არ ვიცით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი გარდაიცვალა არა სიბერით, არამედ...

***რა მიზეზისა გამო?***

**კითხვა №3**

ევროპარლამენტი, მოგეხსენებათ, ევროგაერთიანების უმაღლესი ორგანოა და მის საქმიანობას ყველა წევრი ერთად აფინანსებს...

***ევროპარლამენტის ხარჯების რომელი მუხლია ყველაზე დიდი ანუ მთელი თანხის 60 პროცენტი რაზე იხარჯება?***

**კითხვა №4**

ერთ ევროპულ, ქვეყანაში თავის დროზე, მიმდინარეობდა ერთადგილიანი საფრენი აპარატის გამოცდა, რომელსაც მართვის ძალზედ უბრალო სისტემა ჰქონდა და მას სცდიდა მსოფლიოს საუკეთესო მფრინავი-გამომცდელი...

***აღნიშნული მფრინავის მშობლიურ ქვეყანას ხომ ვერ გაიხსენებდით?***

**საპრემიო მე-5 კითხვა**

მას ბევრი რამ აქვს საერთო მარქსთან და ენგელსთან: სახელი, სამშობლო თუ დაუოკებელი ფანტაზია... ყოველი ჩვენთაგანი დიდი ხანია იცნობს მას...

***ვინ არის იგი?***



1. „ტიტული“ ადამიანისა, რომლის მაკონტროლებელი მისია სასკოლო გაკვეთილებს ერთი ათად ეფექტურს ხდის. 2. გალაკტიონის მიერ შექებული ტაძარი. 3. დიდი ბრიტანეთის პოლიციის სახელი. 4. პირუტყვთა გარკვეული ნაწილის მასტიმულირებელი სიტყვა. 5. ლეგიონის მეათედი ნაწილი ძველ რომში. 6. ძველებური იშვიათი ნივთებით მოვაჭრე პირი. 7. მცენარე, რომლის სამშობლოდაც მექსიკა ითვლება. 8. სავაჭრო გარიგებებში მონაწილე შუამავალი პირი. 9. „.... შეკაზმავს ცხენს“ - ქართული ფილმი. 10. გეომეტრიის ერთ-ერთი ნაწილი. 11. ყოჩაღი შვეიკის „ტიტული“. 12. როგორი ფილმების ხილვა იყო აკრძალული ჩვენს კომუნისტურ წარსულში? (...მგონი, კანონით ახლაცაა აკრძალული). 13. (როგორც გვასწავლიდნენ) „კულაკი“ გოჩას გვარი ლეო ქიაჩელის ცნობილ მოთხრობაში. 14. თანმხლებ პირთა ერთიანობა. 15. მეფის შვილთა მოსახსენიებელი ზოგადი სიტყვა ძველ საქართველოში. 16. დამაკონკრეტებელ-დასაკავშირებელი სიტყვა ჩვენი ენისა. 17. 60-70-იანი წლების ერთ-ერთი უძლიერესი საბჭოთა მოჭადრაკე. 18. სუბიექტი, რომელიც ისტორიას თავისი ვირის წყალობით შემორჩა. 19. რა გადაარჩენს საქართველოს? - ერთი ცნობილი მოწოდების თანახმად.... 20. ძველთბილისური საწყალოსნო „ტრანსპორტი“. 21. ძველად ჩვენში გავრცელებული ზურგზე გადახტომასთან დაკავშირებული თამაშის სახელი. 22. სადაზვერვო მისიით აღჭურვილი პირი ძველ საქართველოში. 23. არასრული სიბნელის გამომხატველი ქართული სიტყვა-კომპოზიტი. 24. ფრანგი ქართველოლოგი, რომლის გვარი დღემდე შემორჩა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას. 25. მიხეილ მესხის საფირმო „მოძრაობა“. 26. იტალიური კინოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი წარმომადგენელი. 27. დიდბრიტანელი რეჟისორი, „ოსკარის“ პრემიის ლაურეატი (...თავის დროზე). 28. სოფელი ქობულეთის რაიონში. 29. ახლო წარსულში პოპულარული (მგონი გერმანელი?) ესტრადის მომღერალი ქალი. 30. თამაშისას გამოსავლინებელი თვისება. 31. მეფედ კურთხევის ცერემონიალი ანუ რა? 32. წესრიგის დამცველი პირი. 33. ძიძიშვილობასთან დაკავშირებული სიტყვა. 34. მშვენიერი რუსი კინომსახიობი ქალი, სახელად ლარისა.... 35. პუჩინის ოპერა. 36. გია დანელიას ფილმი. 37. ყვავილი, რომელსაც ფილმ „მუსიკის ჰანგების“ პერსონაჟები უმღერიან. 38. ქვეყანა, რომლის ერი მთელ მსოფლიოში თითქმის 24,5 მილიონს აღწევს (კარგად გაეცანით დღევანდელ „ფანტაზიას“?). 39. წრეში ჩახაზული ხაზის სახესხვაობა. 40. ძველი საბაერძნეთის ქალაქების ცენტრალური გამაგრებული ნაწილი. 41. ფიროსმანის როლის შემსრულებელი „მსახიობი“. 42. რა ცნება უნდა ახასიათებდეს განვითარებული ქვეყნის ჯარს? 43. ქალაქი, რომელსაც ერთდროს გდრ-ს არეალში აღვიქვამდით. 44. ჩვენებური ნამცხვრის სახეობა. 45. უმაღლესი საეკლესიო ორგანოს სახესხვაობა. 46. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა. 47. ადამიანის ფიზიკურ-ფსიქიკური განვითარების შეჩერება ბავშვურ საფეხურზე. 48. იტალიური წარმოშობის საკვები. 49. გეომეტრიული ფიგურა. 50. ქართულ ესტრადაზე „გადაბარგებული“ ბანქოს ცნება. 51. ვარაუდის გამომხატველი გაქართულებული სიტყვა. 52. 20-30-იანი წლების ქართველი მძლეოსანი, შემდგომ ჩვენი სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე. 53. სახელმწიფო ვესტინდოეთში. 54. სხვადასხვა ნივთიერების ნარევის სახით წარმოდგენილი თხევადი წამალი. 55. საბანკო ცნება. 56. იატაკზე დასაგები ქსოვილი. 57. ჩვილი ბავშვების „სასწავლო დაწესებულება“. 58. ინდოელი დიდგვაროვანი თავადი. 59. ერთგვარი „ღამის სნეულებით“ დაავადებული პირი. 60. მწერების გარკვეულ წარმომადგენელთა საცხოვრებელი ფართი. 61. ტყის ხილი. 62. პერსონაჟი კლდიაშვილისეული „სამანიშვილის დედინაცვლისა“. 63. ჩვენი ბავშვების ხალხური სიმღერის ანსამბლი. 64. პარიზის შემოგარენში მდებარე ლიტერატურიდან ჩვენთვის კარგად ნაცნობი ტყე. 65. შესანიშნავი ქართველი მსახიობი, რომელიც კინოში მენახშირე ბიჭის სახით გამოჩნდა. 66. სიამაყე-ამპარტავნობა ანუ რა? 67. რკინის ხელჯოხი... „შუშანიკის წამების“ თანახმად. 68. ახლო წარსულში პოპულარული ბრაზილიური ცეკვა. 69. სამხრეთ ამერიკის მთათა სისტემა. 70. ესპანური წარმოშობის ცნობილი ვარსკვლავი ჰოლივუდისა. 71. პროტესტანტიზმის ერთ-ერთი სექტის რადიკალურ მოძღვრებათა სისტემა. 72. არაბი ფილოსოფოსის მუჰამად იბნ რუშდის ლათინიზებული სახელი. 73. თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი. 74. დროგამოშვებით მოქმედებასთან დაკავშირებული სიტყვა. 75. საშუალება, რომელიც თითქოსდა ყველა ვითარებაში შველის ადამიანს. 76. სასტუმრო თბილისში, საბურთალოზე. 77. მომღერალი, რომელიც საკუთარ სიმღერებს თავადვე ასრულებს, უპირატესად გიტარაზე. 78. XX საუკუნის ცნობილი უკრაინელი პოეტი. 79. ამერიკელი კოვბოების სამუშაო ინვენტარი. 80. ორი ელემენტისაგან შედგენილი ელექტრონული მილაკი. 81. იაკობ გოგებაშვილის სახელთან დაკავშირებული ყველასათვის ცნობილი დიდაქტიკური მოთხრობა. 82. ვიოლინოების იტალიელ ოსტატთა დინასტიის გვარი. 83. ჰოლივუდის ერთი ახალგაზრდა მშვენიერი ვარსკვლავი ქალბატონი. 84. საჩოგბურთო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე „ტიტულოვანი“ ქალბატონი. 85. გერმანელი ქალისადმი თავაზიანი მიმართვის სიტყვა. 86. სინამდვილისაგან შორს მდგომი და მოჩვენებითი ანუ როგორი? 87. სიტყვა, რაც მტარვალ მურვანს სამარადისოდ დაუკავშირდა ჩვენს ცნობიერებაში. 88. რუსული წარმოების მსუბუქი ავტომობილი. 89. ცნობილი ქართველი საჭადრაკო კომპოზიტორი. 90. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ცხენი ქართულ ლიტერატურაში. 91. თექვსმეტ წლამდე ასაკის ახალბედა მოჭადრაკის მოსახსენიებელი სიტყვა. 92. გრაფიკული ნიშანი.

# აფორიზმების ანთოლოგია



**466**. ქორწინება არის სიყვარულის გაგრძელება „სხვა საშუალებებით“.

**უცნობი ავტორი**

**467**. ხდება ხოლმე - მხოლოდ ღიმილი შეგიყვარდება და იძულებული ხარ მთელი ქალი შეირთო ცოლად.

**უცნობი ავტორი**

**468**. იქ, სადაც ქორწინებაა უსიყვარულოდ, არის სიყვარული უქორწინებოდ.

**თომას ფულერი**

**469**. იცხოვრო ადამიანთან, ვინც გიყვარს, ისევე ძნელია, როგორც გიყვარდეს ადამიანი, ვისთანაც ცხოვრობ.

**ჟან როსტანი**

**470**. გათხოვილი ქალის სიყვარული დიადი რამ არის! ცოლიან მამაკაცებს ასეთი რამ არც დაესიზმრებათ.

**ოსკარ უაილდი**

**471**. ქორწინება არის საოცრება, რომელიც კოცნას სიამოვნებიდან მოვალეობად აქცევს.

**ჰელენ როულენდი**

**472**. ქორწინება არის ხანგრძლივი ნაოსნობა ვიწრო კაიუტით.

**აირის მერდოკი**

**473**. ოცწლიანი სიყვარული ქალს ნანგრევებად აქცევს; ოცწლიანი ქორწინება კი მისგან საზოგადოებრივ ნაგებობას ქმნის.

**ოსკარ უაილდი**

**474**. ქორწინება ზედმეტად სრულყოფილი რამ არის არასრულყოფილი კაცისათვის.

**ნიკოლა შამფორი**

**475**. ქორწინება განქორწინების მთავარი მიზეზია.

**რობერტ ლუის სტივენსონი**

**476**. მეუღლეებს ერთად რომ არ უხდებოდეთ ცხოვრება, ბედნიერ ქორწინებათა რიცხვი ბევრად უფრო მეტი იქნებოდა.

**ფრიდრიხ ნიცშე**

**477**. ვისაც არც სიყვარული შეუძლია და არც მეგობრობა, მთელ იმედებს ქორწინებაზე ამყარებს.

**ფრიდრიხ ნიცშე**

**478**. როგორ ცხოვრობენ სამოთხეში, ჩვენ არ ვიცით; სამაგიეროდ ვიცით, თუ როგორ არ ცხოვრობენ სამოთხეში – იქ არც თხოვდებიან და არც ქორწინდებიან.

**ჯონათან სვიფტი**

**479**. ქორწინებაში მთავარი გამარჯვება კი არა, მონაწილეობაა.

**უცნობი ავტორი**

**480**. ადამიანები წყვეტენ განვითარებას, როგორც კი იწყებენ გამრავლებას.

**სირილ ნორტკიტ პარკინსონი**

**481**. ქორწინება ერთადერთი ფორმაა მონობისა, რომელსაც კანონი მხარს უჭერს.

**უცნობი ავტორი**

**482**. ქორწინება მამაკაცისთვის მონობაა და ქალისთვის მონობიდან გათავისუფლება.

**ადრიან დეკურსელი**

**483**. ქორწინება არცთუ ისე საშინელი რამ არის... ხანგამოშვებით მასში შეიძლება გაწევრიანება.

**უცნობი ავტორი**




**თარაზულად:** 1. მთებში გამავალი მიხვეულ-მოხვეული გზა. 6. XIX-XX სს ფრანგული წარმოშობის დიდი რუსი ბალეტმეისტერი. 11. ცნება, რაც გამოხატავს ცხენის თანაბარ სვლას ცირკის არენაზე. 12. ერთ-ერთი ყველაზე დიდი რუსული სექტანტური დაჯგუფების წარმომადგენელი. 13. სახელი ქალისა, რომელმაც ყველაზე „მშვენიერი“ ქალის როლი ითამაშა კინოში. 14. დალაქის იარაღი. 18. მსხვერპლი ანუ რა? 19. პერსონაჟი ალექსანდრე ქორქოლიანის კინოგალერეიდან. 20. „თორნიკე ერისთავის“ პერსონაჟთათვის ნაცნობი პოეტური გამოცანის სახეობა. 21. სოფელი ხაშურის რაიონში. 23. ჰიტლერული გერმანიის სიმბოლიკის მთავარი ატრიბუტი. 25. სოფელი ბოლნისის რაიონში. 27. სხეულის საფარის შემცველობაში პიგმენტების უქონლობით გამორჩეული პირი. 30. XX ს ცნობილი ესპანელი პოეტი. 31. ორგანიზმის უნარი სქესობრივ სიმწიფეს მიაღწიოს და გამრავლდეს ადრეულ საფეხურზე. 34. ციური სხეულის სახესხვაობა ძვ.ქართულად. 35. დროის ათდღიანი მონაკვეთი. 37. პიროვნება, რომლის სახელსაც რუსული ლიტერატურის დასაბამი უკავშირდება. 39. ახლო წარსულში პოპულარული სასამოსე ქსოვილი. 40. როგორია ის სუბიექტი, რომელიც ზნეობრიობისაგან შორს დგას? 42. ცნება „ჰარმონიის“ ქართული სინონიმი. 44. დაბალი წნევის კამერა. 45. ამ ქალაქს ჩვენი წინაპრები „ჰალებ“-ად მოიხსენიებდნენ, ჩვენთვის რა ჰქვია?

